

## № 6—წიგნი მეექვსე.

«ჭკივილით მოგონება თვსთა ცოდუნთა, და გოდება მას ზედა.»

### გ ა ნ ზ რ ა ხ უ ა 1.

ნუ თავის მოყუარებითა და ნებიერებითა განშინჯავ და განსხხ-  
რეკ თავსა შენსა, ჰი სულა ჩემო! აწამედ შენ შორის ჭქმენ ჭეშმა-  
რითი და მიუთქრებელი სამართალი და ღრმად განსინჯვითა და მხურ  
კალის გულითა მოგონენ ყოველნა ცოდუნანი შენნი, რომელ ქმნილი  
ღ დაბადებულნი ღმრთისა ხარ შენ ღ წმიდა ღ უმანკო სული მის მიერ,  
შთაბერილ აწს შენ შორის, რომლისა შიშითა სძრწიან ანგელოსნი  
ღ ქერაბიშნი. ხოლო შენ აღვსებულხარ ცოდვითა, წარდგომილხარ  
პირის-პირ წინა შე ღმრთისა და ეკედრები. დათვიქრდი! ვითარნი შიში  
და ძრწოლას მართებს კაცსა ქრისტიანსა ღოცუნისა და ეკედრების  
ღრმს, მაშინ რომდესაც კაცი ცოდვილი იყოს წარდგომილი წინა შე  
ღმრთისა და ეკედრებოდეს! უფალო, უფალო საუკუნეო, მამაო ყოვ-  
ლისა მზერობელო, იესო ქრისტე ძეო ღმრთისაო, ჰი სულა ყოვ-  
ლად წმიდაო, სამებაო ღმერთ-მთავარო, წმიდაო სამებაო, რომელ-  
მან დაშადა შე კეთილად: კადმე, კადმე, ვითარ განსენო დიდო ღმერ-  
თო, ვითარ გეკედრო დიდო უფალო, კინაიდგან სული და ხორცილი  
ჩემნი ორნივე შეგინებულ არიან, და სუნ-მყრადს გულზედ მუდამ  
წმიდა ჭყარსა გამოვისახავ და შენსა უკუდავსა ხორცსა და სისხლსა  
უღირსად და ურცხვინოთ ვეზიარები. კადმე ვითარ არა მრცხვენის  
ღმრთისა ორგულსა და შიშის ზარითა არა დავსდნები?

გ ა ნ ზ რ ა ხ ე ა 2.

მოწყალეო იესო, მოწყალეო ჭეშმარიტო, დიდო მოწყალეო!  
 გარნა შენისა მოწყალეობისაგან ესე უმეტეს საკვირველ არს, ვითარმედ  
 ესრეთ მწარედ დაბნელებულსა ცოდვილსა ვითარღა მაცოცხლებ და  
 ქრისტესანაზედ მავალ მეოფ, რომელ უნდო ადგილსაც კეძაგები ცოდვილი  
 გლახავ რა მას. ვამე სულო, ღმთისა ორგულო სულო, აქვე ცეცხლში  
 დამწვარო სულო, მოიხსენე, და იფიქრე ცრემლითა და კუნესითა, თუ  
 რაკდენნი ცოდვისა კერზნი აღვიმართავს გულსა შინა შენსა, და ყო-  
 ველი ასო ღმთის წინა-აღმდეგად დაგისახავს. სული შეგიწირავს, მუხ-  
 ლი მოგიღრეკია, ზ ღმთის სანაცვლოდ ცოდუშბისათვის მრავალ უამ  
 გიმსახურნია ამა ამო სოფლის სიუვარულთ დამონებულსა. — ვამე  
 სულო ღმრისა მსგავსო სულო, მშვენიერო და ბრწყინვალეო სულო,  
 უკუდაო სულო, ზეცისა სასძლოსა და ქოწილსა დაწერილო სულო,  
 ვამე, ვამე, რაკდენ გზის გზაუზატიურე, რაკდენ-გზის მოგაკლე  
 ღმთის გმობითა და ცოდუის ახემებითა. ვამ! რაკდენ გზის ხ-ტება  
 ღმთისა და მსგავსება შემოგცარცვე, მშვენიერება და სილამაზე დაგი-  
 ხავრე, ძნელსა და შავსა ეშმაკსა დაგამსგავსე და ნაცუღად საქოწი-  
 ნე გვირგვინისა და სამოაღისა, ცოდვისა მწვირინი ძონძი შეგმოსე.  
 ვამე სულო ხემო! ღმთისაგან მეორედ ანგელოსად დაბადებულო და  
 ხემ-მიერ მეორედ ეშმაკად გარდაქცეულო. იესო ტკბილო, იესო საყ-  
 ვარელო ხემო, ცოდუა ხემი და უღმთოება ყოველ წამს შენ წინაშე  
 დაღადებს ზ სძრავს ქრისტესანასა, თუმიცა სოდომ გომორულთა ცოდვისა  
 სიმურალე გაწუხებდა იესო, და ნინეველთ უსამართლოება განგამწარებ-  
 და, მხოლოდ მე მარტო ცასა ზ ქრისტესანასა შუა მათ ოდნად გაწუხებ,  
 და რიფცა მათ უსჯულაობაში შეგცოდეს, მე ქრისტიანობაში გცო-  
 დავ და გარისხებ. ვამე სულო, ხემგან მოკლულო სულო, ამა  
 სოფელსავე ჯოჯოხეთსა შინა შთავაგდე და ანგელოსებრივი მსგავსება  
 შენი შიგ დაგწვი და დაგადნეკ და ცოდვისა მატლი შემოგახვიე და  
 და ვამ რაღა მეშველებს სულით მეჭუდარსა.

გ ა ნ ზ რ ა ხ ე ჯ ა ზ .

ჩი იესო საყვარელო! ჩემი თავი ვითარ განვატყაფო ანუ ცოდნის  
ჩემი ვითარ აღვიარო. გვრძნობ სიღრმით გულისად წამეთუ ცოდნის-  
ნი ჩემნი აჩიან უფროს ზღვის ქვიშისა და წვიმისა ტყარისა უხში-  
რეს. და ესრეთ: ზვაკი ვარ ამჰარტავანი, ვარ მკვებარი, თავის-მყოფის-  
რე, სხუათა ცოდვების განჰკითხველი, ჩემის ამხანაგის მომადვილებელი  
და მომდაგებელი, ცუდ მოფიცავი, ტყუილის და სიცრუვის მოხალისე  
და ეშმაკის პირით მოღაპარაკე, ყოველს ყამს მუცლის აღმოკვებისა-  
თჳს მტრადი და მოჩივარი, ყოველს! კეთილ საქმესედ და ღუთის-  
მსახურებასედ ზარმაცვი. ანხლებითა და მრისხანებითა, წყევითა და  
გინებითა პირიდგან მწვირის აღმომსხმელი. სხუათა ცოდვების მოტე-  
ვებისა ღუთისაგან და სიკეთის და ბედნიერებისა ნახუასედ, შურითა  
დამდნარი, სიხარბისა და უსამართლოდ მოკებისა და შეკრებისა ფიქ-  
რითა გართული და დაღალული, ხორცის შეგინებითა და ბილწის  
გულის-თქმის მიყოლითა ღუთის ტაძრის დამარღვეველი და სული  
წმიდის შემაწუხებელი. — ვადმე, ვადმე თვალი დახელებულსა, იესო  
საყვარელო! გარდა ამათსა, ურჩებანი და ცოდნისი მრავალნი აღმი-  
სრულებია და ამო სოფლის სიყვარულით ვერ გამაძლარვარ. არა  
ძალ-შიძს მე ცოდვისაგან დაჩაგრულსა და დამონებულსა თვითოეუ-  
ლად მოვიგონო და განვატყაფო. მხოლოდ ცრემლით და კუნესით  
გვედრება იესო საყვარელო! ცოდვილილათუ ვარ და მოუქცეველი,  
უკეთუ აღმაყენებ და კვალად შემიწუნარებ და შემიწყალებ დიდი და  
აუწაცხელი მოწყალებს შენი იქმნება და მით უმეტესად ღუთაება შე-  
ნი იდიდება, და უკეთუ არ შემიწყალებ სამართლად უწვი, წამეთუ  
ღირს ვარ წათა ცეცხლსა შინა დაგიწვა. ვად, ვად ჩემსა ბნელსა ქრის-  
ტიანობასა, ქრისტიანედ წოდებულ ვარ და ქრისტიანეთა თანა ყოფა  
და ქცევა არა მნებავს.

გ ა ნ ზ რ ა ხ ე ა 4.

ჩი იესო საყვარელო, უფალო! ცრუ ვარ ზ გატყუებ, რაღა შე-  
შეკლების მე საწყალობელსა? შენ სიტყვებს მადლევ და მე შენს  
ურჩებაში ვაღამებ, დღეს მადლევ რათა შევინანო, მე დღეოს გზარავ  
და სინანულს არ გაძლევ. საზრდელს მადლევ და ნამეტნავსადა,  
რათა ჩემითა მიხეზითა მშვირთადა ვზრდიდე და მარად-დღე მადლო-  
ბას გწივიდე, გარნა არცა მშვირსა და წყურვილსა მივხედავ და არ-  
ცა მადლობისა ხმასა გწივავ, არამედ უმეტესად ვდრტვინავ. საკვირ-  
ველია, თავი ჩემი რომ არ შეწყალების და წარწყმედად არ მებრალვის  
მე სხუას რად შევიწყალებ? ვაძმე სულა! აღარც შენ ღმერთი შეგი-  
ყალებს და უკურნებელი დაშთები! იესო საყვარელო! ხორცის დამ-  
ფარველს სამოსელს მადლევ ორსა და სამხედ ნამეტნავს, გარნა მე  
ძმასა ჩემსა შიშველსა თვალს ვარდიებ და არა ვმას, არცა მკრ-  
დარსა დაკმარსავ უცხოსა და უქონელსა. შენ მოქცევასედ მელი და  
მე გველტვი, შენ შეწყალებას მიზირობ და მე გამწარებასა შესა ვსც-  
დილობ. მარად დღე მღუდლისა და წმიდის ეკლესიისაგან ტკბილად  
მასწავლი ზ მე ორსავ ყურსა დავიხშავ ზ შენსა ბრძანებასა არა ვერჩი.  
იესო საყვარელო! მწყემსი ხარ, შეცთომილსა მეძიებ, ხოლო მე ცოდ-  
ვისაგან დაქოლილი თვალს ვარდიებ, ჩემი ახლო ყოფა ტრთვიანებით  
გნებას, რათა მომეხვიო, შემიტვობ ზ ამბოხს-მიყო; ვაძ მე ვაძმე!  
მძულ ხარ და გემტელები, მე ეს ამო სოფელი მიყვარს, გარნა ამ  
სოფლის სიყვარული შენი მტერობა არის. — ცოდვილმან რა გიხმო  
მოჩივებით მისმენ და ტირილად რა მნახო მსწრათელ შემობრალვებ  
ზ მბრძანებ: „ნუ გეშინინ მე შენთან ვარო“, შენ რაკდენ-გზის მიხ-  
მობ დამხადებელო მოკედ მომეახლე ნუგეშინინ არა დავიტეობ; გარ-  
ნა მე შენი ურჩი ვარ არ მესმის ზ ამას ვმიხეზობ: „არცა დღეს, არცა  
ხვალ და სულ დღეს და ხვალობით გატყუებ და განვაცარე ჩემი  
საძაგელი სიტყვებუ.

გ ა ნ ზ რ ა ხ ე ა 5.

ჩი იესო საუკარელო და ტკბილო! განა ერთის დღის ცოდვილი ვარ, ან ერთის გვირისა და ერთის თთვსა და წლისა? არა, სიერ-მიდგან აქამომდე ზირ-ქიშტ მდებარე ცოდვილი ვარ და მით უმეტეს ვაიძე რამეთუ დახადებული დამხადებელსა გაწუხებ აქამომდე და ჩემის ცოდვების სიმურალე შეს დრთაებას მიწურომებს და ქიშტსკნელს ჯოჯოხეთს ცეცხლს მიგონებს და ცასა და ქიშტყანასა შუა ჩემი ცოდვილი სული იწვის და დნება. ვაჲმე, ვაჲმე იესო საუკარელო! შენ რავდენნი საცხოვრებელი და საკურნებელი წამალი მომცენ, რათა გამაცოცხლო, ხოლო მე ესენი სულის საკლავად და საკნებელად მოვიხმარენ. ცოდუამ დამცა, ცოდუამ დამაკალა, ცოდუამ დამატყვევავა, ცოდუამ შემკრა ხელით და აყრხით და დრთისა ურხებისა მთხრებლსა შთამავდო, და ღრმით — გამოხმა მიწუკეტილი გიხმობ და გიდადადე — იესო. საუკარელო იესო ტკბილო და მოწყალეო, მომხედო დადაღულსა და განშიშულებულსა, ისმინე ტკივილი, გლოვა, და ტყუბა ჩემი; შთამომხედე მალლით სამკვიდრებელით; აღმადგინე და ნუ დამავდებ მიწულებულსა და დასუსტებულსა. და უკეთუ დამავდო და არ მომხედო, ჭეშმარიტად სამართლად დიხს ვარ სასჯელისა, განნა შენი აურაცხელი მოწყალება სადა გამოსხნდეს? დიდად შემცოდე დიდს მოწყალეს მიმართავს და დიდი სნეული დიდს მკურნალს მიეშურება. ამისთვს, არცაღავინ ქიშტყანასა ზედა ჩემებრი ცოდვილ არის და არცაღავინ ზეცათა შინა შენებრი მოწყალე. კვალად გვედრები იესო ტკბილო! ჩემის ცოდვების წულულებასედ შენი აურაცხელი მოწყალება მოუშვი, ნუ სძლევენ ცოდვა ჩემი სიმრავლესა მოწყალებასა შენსა, მით გამბანე და შემდგომ შენის ჯრით გარდამოთხეულის სისხლით გამწმიდე. მკუდარი განმაცოცხლე, ჩემნი დაფარული ცოდუანი მანძინობინე და ვითარცა მმართებს ეგრეთ შევინანო, და სინანულისა ნაყოფი მოგართო, და შენდობისა იგი ხმა მასმინე ვითარცა ოდესმე განრღვეულსა „აღსდეგ და ნურღარა სცოდავ.“

# ს ი კ უ დ ი ლ ი ს ა თ ჯ ს.

გ ა ნ ზ რ ა ხ უ ა ს ი კ უ დ ი ლ ი ს ა ა.

„შიში სიკუდილისა დამეცა ჩემ-ზედა“ იტყუის წინასწარ-შეტუ-  
 კელი დაკით, მღუღარითა გუღითა და ცხელთა ცრემლთა დათხეკითა.  
 თაკო ჩემო! დაფაქრდი შენცა, მოიგონე სიკუდილი საზარელი მომა-  
 რხებელი ყოვლისა სოფლისა; რომლისაგანაც მწარედ ძრწოდა  
 წინასწარ-შეტუკელი დაკით და თვთ ქრისტე ძე ღუთისა კაცობრივის  
 ბუნებით იშიშვოდა ვნებისა და სიკუდილის მოგონებაზედ და ეკოდ-  
 ნად ილოცა ვიდრე სისხლის ოფლისა დეხადმდე. აწ შენცა სულა  
 ჩემო! რად არ გეშინის სიკუდილისა, ვინაჲგან ამ ცრუსოფლის  
 სიუწარულათა და ცოდვებით საგსე აზირებ სიკუდილსა? არა, იგლო-  
 ვე თაკო ჩემო იგლოვე და ყოველს ყამს თვალთა წინაშე დაიდევ  
 სიკუდილი. თუმცა მართალთა და წმიდათა კაცთა შიშია ზარისა და-  
 ადნობს, განიხილე რაჲ ჭქმნას ცოდვილმან მაშინ, ოდეს ღუთისა რი-  
 სხვისა მახვილმან დაჭკაფოს ცოდვილი და ვითარცა თივა ველისა გამ-  
 ხელი შთაგზნოს ტეტხლსა ჯოჯოხეთისასა. შესძრწუნდი სულა ჩე-  
 მო, შესძრწუნდი! აჭა მოვალს სიკუდილი და უფროსად შეითანა არს  
 ყოველსა ყამსა. მიწის სოფელი ესე, მორბის სიკუდილი შენ ზედა,  
 ყოველს საათს აკლებს და იზარავს დღეთა შენთა, ოდეს ფიქრო ბდე  
 გრძლად სიტოცხლესა, სიკუდილი ხელოვნებს შენთჲს საკაცესა. ან  
 რომდეს ოფლითა და შრომითა სცდილობდე საქონლის შეკრებასა,  
 სიკუდილი მზადებს დაბნეკასა. რომდეს განაკებდე სახლთა და სახლე-  
 ულთა შეპოებასა მამულთა და ვენახთა ადშენებასა; სიკუდილი ხელო-  
 ვნებს ამათსა ადვილად დარღვეკასა და ტილოთი პირისა დაყოფასა. —

გ ა ნ ზ რ ა ხ ჯ ა ბ .

„მიწა ხარ და მიწად მიიქცე“ ღმერთი გიბრძანებს დახსნილთა  
 თაგო ჩემო! ამა ღმრთის ბრძანებას კერა ოდეს კერ მოჩხები, ამის-  
 თვის განაგდე ტყუილი და ცუდი მიზეზი და ნუ იტყვი მსგავსად  
 უგუნურისა: ჯერედ ჭაბუკი ვარ და გრძლად ვიცოცხლებო, ან დღეს  
 და ან ხვალა შევინახებო. დაფიქრდი! ესე მხოლოდ უგუნურთა წე-  
 სია; ამისთვის აწვე იწვე გლოვა და ტირილი, მიაჩთვი ღმერთსა სი-  
 ნანულისა ნაყოფნი. ოდეს შელამდეს ნულარ ელი გათენებასა, და  
 როდეს გათენდეს ნულარ ელი დაღამებასა, ან ოდეს აღმოი-  
 თქვინო ნულარ ელი უკუ თქვენებასა, გინა ოდეს დასწვე რბილსა და  
 ტკბილსა ლოგინსა დაძინე შენთანა ხსენება სიკუდილისა, და ნუ და-  
 ივიწებ საფლავის აღმოთხრასა და ვიწროდ და მარტოდ შთაწოლასა  
 შენსა, და ესრეთ სიკუდილისა მჭურეტელმან არღარა ჰსცოდო, და  
 უკეთუ შენ არღარა იგონებ სიკუდილსა სულთ ჩემო, იგი არ დაგი-  
 ვიწებს, სადაცა წარხვალ წინ დაგხედების უწყალო იგი კეშაპი და  
 ოდეს არ ელოდო, მაშინ მოგაკუდილებს შევირადლი იგი ლომი.—

გ ა ნ ზ რ ა ხ ჯ ა გ .

კამ, კამ რა მწარე, სასტიკი და ძნელი ტკივილი შეგხედება  
 თაგო ჩემო, ოდესცა ამ სოფლისა მოყურებასა, წარმაცობასა და  
 ნებივრობასა შინა მოგადგეს სიკუდილი! კარზედ აღვიმართოს შავი  
 ალაში და აღმოიწოს დაშიწებისა შენისა კალაში, გილამებდენ ვზესა  
 და ლესვიდენ შენთვის მახვილსა მკულელსა. და შეკრთონ  
 სნებასა და სიტხესა დამასურებელსა, დაიფარო შავითა ღრუბლითა  
 და შეიკრავნო ბნელისა ნისლითა. გაძალიანდეს საკლავად შენდა სე-  
 ნი და სამწარითა დადეს ხორცი და ძვალნი შენნი, გაგიხმეს უწყა-  
 ლოსა სასა და ენა, და შექმნა სულისა კვეთა, აღმოთქვინვა, კუჩესა  
 და ქშენა. განიწირო უიმედოთ ექიმთაგან, საყვარელთა შენთაგან და

ანდისგან არ გესმოდას ნუგეში და ღხენა. ხმა მიწვეული გუნესით  
გხვეწებოდა მშობელთა, ძმათა და ნათესავთა. სიმწარით ესაღმებოდა  
ცოლსა და შვილთა შენთა საყვარელთა, გაჩნა მოხმარებას არ ვისგან  
ელოდა და ესრეთ უიმედო დაშთომილმან სთქჳს ანდერძისა სიტ-  
ყუანი გაურა გამოსაღმებისანი.

---

გ ა ნ ზ რ ა ხ ჯ ა დ .

მაშინ იწყო უგუნურო თავო ჩემო ძაგება ამა წეთისა სოფ-  
ლისა, რომელი უწინ ტრფიანებით გიუწარდა, და გერდა ჭბოგო  
დღეთა შემატება. ვადმე სად ხართ სისხლისა ცრემლნო და გლო-  
ვისა წვიმისა ნაწვეთნო. ვად! რხერი და უკეთილო მივალ და არა გზ-  
რუნავ, მაშინვე შეგასქდების თავო ჩემო ჭირისა რთენი საზარელნი  
სისხლის გამაშრობელი, დაიპურებს ყოველთა ასეთა შენთა უწყალო  
ტკავილი სიკუდილისა, მოგელების თერხნი და არდა დამორჩილდე-  
ბიან ხელნი და თერხნი. მსწრაფად გაგიშტერდებიან რჩნივ სახედველ-  
ნი და არდაცა გექმნების ხმენა, დაგიდუმდების ტბილად მეტეუწლი  
ენა და შექმნა ხრტიალი, და ხორხის ხრტიალისგან შედონებული  
აწეუწტდე ხელთა და არა ელოდდე შეწვთა.

---

გ ა ნ ზ რ ა ხ ჯ ა ე .

მაშინ აახილებ და გარდაიბრუნებ თვალთა შენთა სულო ჩემო  
აღმღრუელთა დაშრეტად მიწურვილთა, და დაინახავ წეტით საშინ-  
ლად ღმერთსა განრისხებულსა შენ ზედა, ღრთის ძლიერსა ხელსა სა-  
ცემრად შენთვს ალებულსა, დაბლა ძირს დაახედავ, ნახავ ჯოჯოხეთსა  
პირ განლეგულსა და სატანჯელსა შენთვს განმზადებულსა, რომელიც  
მიგელის. მარცხნივ მიიხედავ ძნელად ზ დაინახავ შავთა ეშმაკთა უწ-  
ყალოთა იასაულთა უარხის გუნდის მსგავსად შეუჩილსა ბრძოლად



შენ 'ხედა. მარჯუნით მიიხედავ და დაინახავ ცოლსა, შეილთა და მე-  
გობართა საუკარელთა გაგლეჯილთა და მტირალთა შენთჳს ოხრად  
დაჩხენილთა. — მსწრაფით მოგეხვევიან, რისხვით მოგესევიან გიგენე-  
ბენ შენის მუწალის ცოდვების დაკორებსა. გარემოგეხვევიან ცეცხლის  
ძოგენელად, და მტანჯველ მცემელად. მაშინ შეგასქდების სიცხისა და  
სიმწარისა ცრემლნი სულთ ჩემთ, და შეშოფოთებულნი შენსაკე გუამში  
მაღვას დაიწებ გარნა მსწრაფად მოვა ანგელთსი ღუთისა მსგავსად  
ელვისა განრისხებული და აღმოგხდის სულსა და მიუგდებს ეშმაკთა  
სამაგელთა.

გ ა ნ ზ რ ა ხ უ ა . ვ .

ვაჲ, ვაჲ მოუქცეველთ სულთ ჩემთ! მაშინ რა მწარედ თავით  
ფერხამდის დაიწვევი შეშისა ელდითა, ოდესცა ღმერთსა მოწყალე-  
ბად შენთჳს აღარ ელოდდე; შენი მთარველი ანგელთსი სწუხდეს შე-  
ნის წარწყმედისათჳს. მეჩმე ხელთვე შეკრული ეშმაკთ მიეცე. მსუ-  
დრანი მოკლენ საგრაგნილთსა ტილთ სუდრისა შემახვეველნი. ხურთ-  
ნი მოკლენ ვიწროსა კუბოსა შინა შთამაწვენელნი და ხმელსა საკაცე-  
სა დადებით სათლავად წარმლებელნი. ორი სიკუდილი მოგკლავს  
მოუქცეველთ სულთ ჩემთ, და ორისა სათლავისა კარი გაიღება შენ-  
თჳს. — ერთი რამ ჯოჯოხეთის სატანჯველში დაეოკლი და მეორედ  
მიწისაგან აღმოთხრილსა ბნელსა ვიწროსა და ყოველთა დამარჯვეველ-  
სა და ძვალთა განმასშიშულებელსა სათლავსა შინა შთაწვები და ღრ-  
მად დაიმარხები და მძიმითა ღოდითა დაიფარები. ჰი! შენ ქერაბიმ-  
თა და სერაბიმთა უწმიდესთ განათლებულთ ღუთის-მშობელთ მარიაჲ,  
ემძანუილისა დედათ, ქრისტიანეთა სასოთ, მკუდატთა აღდგომათ,  
ცოდვილთა ღზინებათ, ცათა და ქუჭყანისა კრებულთა დედოფალთ.  
დღესა სიკუდილისასა შემეწიე, სულთ მბრძოლის ყამს მეწიე და მი-  
ვატრონე, ოხრსს, ობოლსა ცოდვის სიმრავლისაგან დაჩაკრულსა.

დედოფალა დედაღ ღუთისაღ მოწყალეღ, დღესა სიგუდილისასა შენი  
წმიდა ხატი დამანახე, რათა ამბოხს-უყო, და ჩემი ცოდვილი სული  
შენს წმიდას ხატს შევედრო და ხორცი (მიწა) მიწას მივცე დასარ-  
ღვევლად. დედოფალა! ნუ მოუშვებ ჭაერის მცუჭლთა უწყალთა ბ  
საზარელთა ცილის მწამებულთა, არამედ განაბნიენ ქრისტეს აღმზრ-  
დელთა მარჯუწნითა შენითა, და შემიწყალე და მიმგვარე ქესა შენსა  
შე უღირსი მონა შენი.

მღუდელი ბესარიონ ზედგინიძე.

---

სჯულის განონისაგან აღმოწერილობანი.

სისხლისა ნათესაობისათჳს.

(გ ა ნ გ რ ძ ე ლ ე ბ ა)

სისხლისა ნათესაობისა მეშვიდე თავი დაყენებული არს ყოვ-  
ლითურთ, და არ იქორწინების, და არცაღა ჭსწერს სჯული შერთვად  
ვისგანმე თვისისა მეორისა ბიძა-შვილისა ასულისა ცოლად. ძველსა  
დროსა შინა უკეთუ იკითხვიდეს ვინმე არა მისცემდენ ქორწინებასა  
ნებასა და უკეთუ ვინ დაფარვით იმოქმედის და შემდგომად ჭსტნობ-  
დიან, განონსა მისცემდიან, და დაუტევებდიან. ხოლო სხუა დაყენება  
არა რამე აქუნდა მაშინ ეკკლესიისაგან. იტყუის ჭსჯული ვერავის  
ხელეწიფების შერთვად ცოლად მეორისა ბიძა-შვილისა ასულისა და  
არცა მეორისა ბიძისა ასულისა, და ვინადგან დაფარულად მოქმედებ-  
დენ ქორწინებასა ესეუითარსა, ამისთჳს ბრძანა უწმინდესმან პატრი-  
არხმან ლუკამ მისი კრებითურთ, რათა არღარა იქმნას უსჯულთა ესე  
ქორწინება; და თუ იკადროს ვინმე ქმნად ფარულად და სტნან შემ-  
დგომად, განაშორონ შეერთებულნი იგი და ქორწინებისა მის საი-  
ღუმელისა აღმასრულებლნი მღუდელნიცა განუყენონ ყოვლისა სამღუ-  
დელთასა წესისაგან:

ხოლო უკეთუ არა უწყოდა მღუდელმან მან და შეატდინეს იგი, ნუ განაყენებნ მას მღუდელობისაგან, გარნა განონნი დასდვან, და რომელთაცა უწყოდენ ქორწინებულთა მათ მეშვიდე თავობაჲ, ვითარმედ არა ჯერაიყო შერთვად იგანი, და მათითა შუამდგომელობითა იქმნა ქორწინება, იგი შეახვევენ, ვითარცა ჭსჯულის გარდამავალნი. დასდვა ჭსჯული ესე მისმან ყოვლადუწყმინდესობამან ბრძანებითა და დამტკიცებითა მეფისა უფლასა მანუილ ზარფიაროვან შობილისათა, და განემტკიცა ესე, რათა არა ვინ მიიყვანოს ცოლად თვისისა მეორისა ბიძაშვილისა ასული.

სისხლითისა ნათესაობისთჳს შერკე თავი იქმნების ესრეთ: მამამან რაოდენიცა შუნეს შეიღნი, ყოველივე რა-თავად აღირიცხვიან, დაღათუ მრავალცა იუწინ ესრეთ, ვითარმედ მამამან ჩემმან მშვა მე და არს ერთი ნათესაობა და ერთა თავი, და ჭშვა ძმაცა ჩემი, და იქმნა რჩი ნათესაობა და რჩი თავი, და რაოდენიცა შემოვლნენ ნათესაობა, ეგოდენად თავად აღირიცხვიან. ხოლო იხილე ესრეთ: ა) მამამან ჩემმან მშვა მე და არს ნათესაობა ერთი და თავი ერთი, ბ) ჭ ვშვივი მე მე ერთი ჭ იქმნა ნათესაობა რჩი და თავი რჩი მამისა ჩემისა თანა. გ) და შვილმანცა ჩემმან შვა ძე ერთი და იქმნა ნათესაობა სამი და თავი სამი. დ) და შვილის შვილმან ჩემმან შვა ძე და იქმნა ნათესაობა რთხი და თავი რთხი, კვალად მამამან ჩემმან შვა ძმა ჩემი, რომელიცა იქმნა რჩი ნათესაობაჲ, და მამისა ჩემისა თანა არს თავი ერთი, და ჩემთანა, რომელიცა ძმა ვარ მისი, იქმნა თავი რჩი, ძმამან ჩემმან შვა ძე, რომელ არს ძმის წული ჩემი, და არს იგი მამისა თვისისათანა თავი ერთი და ჩემთანა, ვინადგან ბიძა ვარ მისი, იქმნა თავი სამი, ესრეთ: შობა ჩემი ერთი, და ძმისა ჩემისა რჩი, და ძმის წულისა ჩემისა და შვილისა ჩემისა შობა მეორხე და თავი მეორხე: კვალად ძმის-წულმან ჩემმან შვა ძე და იქმნა ნათესაობა სამი მამისა ჩემისა თანა და თავიცა სამი, ხოლო ჩემთანა ბიძისა მისისა იქმნა ნათესაობა რთხი და თავიცა რთხი, და შვილისა ჩემისა თანა თავი მესოუ

და შეიღის-შვილისა ჩემისათანა, რომელიცა მეორე ბიძა-შვილი არს მისი, იქმნა თავი მეექვსე. კვალად ძმის-წულისა ჩემისა შვილმან შვა ასული, რომელიცა არს ძმისა ჩემისა თანა თავი მეოთხე და ჩემთანა მეხუთე და შვილისა ჩემისა თანა მეექვსე და შეიღის-შვილისა ჩემისა თანა მეშვიდე, ხოლო ჩემის შვილის შვილის შვილისათანა იქმნების თავი მეჩვიდე, და ესრეთ იქმნების ქორწინება დაუბრკოლებელად მეჩვიდეს თავსა ზედა.

სისხლითი ნათესაობაჲ მეჩვიე თავადმდე ვერ-არს წმინდად დაცულად ყოველთაგან, და რა გარდახდეს მეჩვიე თავსა, განხსნილ-არს დაუბრკოლებელად: შევირთავ მე ცოლად მესამისა ბიძისა ჩემისა ასულსა, ეგრეთვე შევირთავ მეორისა ბიძისა ჩემისა ასულის ასულის ასულსა. ხოლო მძახლობითი ნათესაობა განხსნილ-არს მეშვიდეს თავსა შინა და მეექვსეცა, გარსა შვილად სახელ-დებულისა და ნათლის-დებისა მეჩვიეს თავსა შინა განიხსნების, ვითარცა სისხლითისა ნათესაობისა, ხოლო გუჩრობითი იქმნების მეხუთესა შინა და მეოთხესაცა.

მძახლობითისა ნათესაობისათჳს.

სისხლითი ნათესაობა ადვილი განსარჩევი არს, ხოლო თანე მძახლობითისანი არიან ძნიად განსარჩეველ, და მისთვის თანა-მდებ კართ უფროსად განკრძალვით გამოძიებად, რათა არა მივიღოთ შეცოდებაჲ შეცთომით. ამას ვინცა ყოფენ ქრთამითა ანუ ნიჭითა, გინა კაცთ მოთნეობისათჳს, იგინიცა და ცოლ-ქმარიცა იგი, რომელთაცა სისხლისა აღრევა ქმნეს, და შუამდგომელნიცა მაკურთხეველისათანა მათისა ერთბამად მიეცნენ სატანჯველსა, ვინათჳს თვალი ღუთისა ყოველსავე ხედავს და ყოველივე უწეის. ძუწლნი მამანი და მოძღუარნი განხსნიდენ მეშვიდეს თავსა, ხოლო სახლთა მეშვიდე დაჩენეს და განხსნეს მეექვსე, ამად კვალად მეექვსესა თავსა არა აქვს ესოდენ აღრეულება, რადრეცა აქვს თავსა მეშვიდესა. ჭკვეული და აჩენებს კაცსა მას, რომელიცა შევირთავს დედასა და ასულსა, ანუ

ბუბიისა და ასულის ასულსა. მრავალს ადგილსა შექმნეს განიხსნების და მეშვიდე დაეუენების, და მრავალს ადგილსა შექმნეს დაეუენების და მეშვიდე განიხსნების, და მიზეზი ამისი არს აღრევა თაკთა და აღურეკელობა ბუბიის დედასა და ასულის ასულის ასულსა, ანუ ბუბიის და ასულის ასულის ასულისა, გინა ცოლისა დისა ანუ ცოლისა ძმისა ასულსა, გინა ცოლის მეორესა ბიძისა თავად მეშვიდედ აღრიცხვენ ვიეთნიმე, ვინათგან ცოლი და ქმარი ერთ ხორც არიან და ერთ თავად აღირაცხვიან. ესე ვინმე ჭკიობს ნიკოლოზ პატრიარხსა და სამღუდელოსა კრებასა მისსა, და არა ინებეს მიცემა შენდობისა და წარსცეს ბრძანებათა სამეუფო და საპატრიარხო, რათა ესე-ვითარი ქორწინება არა ოდეს იქმნეს. ხოლო მძახლობისა მეშვიდესა თავსა შინა ქორწინებანი ჭ შეერთებანი არა ჯერ არიან ქმნად, ამად ვითარმედ ერთი ბუნება არს დადება იგი: ბუნება არს კაცი ერთი და დადება არს, ვითარცა ქმარ-ცოლნი შეერთებულ არიან ერთ ხორცობით, ვითარ იგი იტყვის წერილი შეერთავს უკვე ცოლად კაცი ვინმე ცოლისა თვისისა მეორისა ბიძისა ასულსა.

ბიძისათვის, რომელიცა სამად ითქმის და სამად განიყოების და რომელიცა იქორწინებინ და რომელიცა არა. ბიძად იწოდების ძმა მამისა ჩემისა და დაჲ მისი; ბიძა დიდი ეწოდების პაპისა ჩემისა ძმასა ანუ ბუბიისა ჩემისა ძმასა; ბიძა მცირე ეწოდების მამისა ჩემისა პირველსა ბიძა-შვილსა, ხოლო მამისა ჩემისა ძმა აღრიცხვის ჩემთანა შესამედ თავად, და პაპისა ჩემისა ძმა ანუ ბუბიისა ჩემისა აღრიცხვის ჩემთან მეოთხედ თავად. ხოლო პირველი ბიძა-შვილი მამისა ჩემისა არს ჩემთანა აღრიცხულ მეხუთე თავად. მამა და ძე ვერ შეერთვენ ცოლად დედასა და ასულსა; ძმა ჩემი ვერ შეერთავს ცოლისა ჩემისა ბუბიასა, მამა ჩემი ვერ შეერთავს ცოლისა ჩემისა ბუბიის დასა, მამა ჩემი ვერ შეერთავს ცოლისა ჩემისა დასა, მამა ჩემი ვერ შეერთავს ცოლისა ჩემისა მამის დასა, მამა ჩემი შეერთავს ცოლად ჩემისა დედისა ბიძა-შვილსა, ჭ ესე-ვითარი

ქორწინება შენდობილ არს; მამა ჩემი ვერ შეიძლება ცოლისა ჩემისა მეორისა ბიძისა ასულისა. არა შეიძლება ძემან ქალი ერთი და მამამან მისმან სიდედრისა ბიძა-შვილი, ამად ვითარმედ აქნესთ მათ კვალად მამა შვილობისა ადგილი, და ოდესცა მამამან და შვილმან ორნი ბიძა-შვილნი შეიძლება ნაცნულად მამაშვილობისათანა სიძე იქმნებიან და ამისთვის დააყენებს ჭსჯული.

მამისა და შვილისა სახელნი არა აღიკვიან, ოდესცა შვილი შეიძლება ქალსა ვისმე, და მამა შეიძლება თავისის ძის სიდედრისა ბიძა-შვილსა; მაგრამ უკეთუ შეიძლება ორსა ბიძა-შვილსა აღიკვიან, ვითარ იგი ვსთქვით ზემოთ: ნაცნულად მამა-შვილობისა სიძე იქმნებიან და ამისთვის არა ჯერ-არს, და უკეთუ ვინმე ფარულად ჭქმნას, განდგომილ იქმნენ ჭსჯულისაგან.

ესეცა ესრეთ ჯერ-არს ყოფად: უკეთუ მამამან შვილის სიდედრისა ბიძა-შვილი შეიძლება და შვილმან ასული, ჯერ-არს; და უკეთუ შვილმან თავისისა მამისა სიდედრისა ბიძა-შვილი შეიძლება, ესე არა ჯერ-არს, ამისთვის კვალად შორის ამათსა აღიკვიან სახელნი: მამა შვილად იქმნების და შვილი მამად: მამა და შვილი ვერ შეიძლება ცოლად ძმის წულსა და მამის დასა.

#### პაპისა და შვილის შვილობისათვის.

ვერცაღა პაპა შეიძლება შვილის შვილისა თვისსა სიდედრისა: პაპა ვერ შეიძლება შვილის შვილისა სიდედრისა დასა, ვერცაღა შეიძლება პაპა შვილის შვილისა სიდედრის ბებიასა, პაპა ვერ შეიძლება შვილის შვილისა ცოლისა დასა; პაპა ვერ შეიძლება შვილის შვილისა ცოლისა პაპის დასა, ხოლო პაპა და შვილის შვილი შეიძლება მამისა დასა და ბიძის წულსა, პაპა და შვილის შვილი ვერ შეიძლება ორთა პირველთა ბიძა-შვილთა; პაპის მამა და შვილის შვილის შვილი ვერ შეიძლება ორთა პირველთა ბიძა-შვილთა: პაპის მამა და შვილის შვილის შვილი შეიძლება ბებიათა და შვილის შვილის შვილსა.

შევირთავ ქალს ვისმე, და ზაზისა ჩემისა მამა შევირთავს ცოლისა მის ჩემისა ბებოისა დედასა, და ანუ დასა. ზაზისა ჩემისა მამა შევირთავს ცოლისა ჩემისა მამის დასა.

ორთა ძმათა-თჳს.

ორნი ძმანი ვერ შევირთვენ ორთა დათა, ორნი ძმანი ვერ შევირთვენ ძმის ასულსა ჭ მამის დასა, ორნი ძმანი ვერ შევირთვენ ორთა ზირველთა ბიძა-შვილთა, ორნი ძმანი შევირთვენ სიდედრის ბიძა-შვილისა, და ბიძა-შვილის ასულსა, ორნი ძმანი შევირთვენ ორთა მუცრეთა ბიძა-შვილთა, ორნი ძმანი ვერ შევირთვენ დედასა ჭ ასულსა, ორნი ძმანი ვერ შევირთვენ ასულის ასულსა ჭ ბებოისა, ორნი ძმანი ვერ შევირთვენ ასულის ასულის ასულსა და ბებოისა დედასა, ორნი ძმანი ვერ შევირთვენ ზაზისა დასა და ძმის ასულის ასულსა. ბიძისა და ძმის წულთა თჳს. უკეთუ ბიძამან ძმის ასული შევირთოს და ძმის წულმან მამის დაჲ, არა ჯერ არს. ამაღ კვალად აღირვეიან სახელნი: ბიძა ძმის-წულად შევირთაცხება და ძმის-წული ბიძად. დიდი ვასილი იტყვის: რომელსაცა შინა ხარისხსა სახელნი აღირვეიან ქორწინება იგი უჯერო არს; ბიძა და ძმის წული შევირთვენ ორთა ზირველთა ბიძა-შვილთა დაუბრკოლებელად, და ორნი ზირველნი ბიძა-შვილნი შევირთვენ ორთა ზირველთა ბიძა-შვილთა:

ერთი ნათესავი მე ვარ, სხუა ნათესავი არს ცოლი ჩემი: და სხუა ნათესავი არს ცოლის ძმისა ჩემისა ცოლი: უკეთუ მოკუდეს ცოლი ჩემი, შევირთამ მე ცოლის ძმისა ჩემისა ცოლის დასა. დაუბრკოლებელად: ხოლო უკეთუ მოკუდეს ცოლის ძმა ჩემი, ვერ შევირთავ ცოლსა მისსა, გარნა ძმა ჩემი შევირთავს. ვერ კელეწიფების შერთვად ცოლსა გერისა ჩემისასა ძმისა ჩემისა. უკეთუ შეჴანდეს მე გერი ქალი და მოკუდეს ცოლი ჩემი, შევირთავ მე ძმისა ჩემისა გერის ცოლსა.

დედის ნაცვალს ვისმე ოდეს მოკუდეს ქმარი და დედის ნაცვალს მას ჭეჭეს გერად ქალი, და მოკუდეს გერი იგი, ვერ შეირთავს ქრმად თვისად მის მომკუდრისა გერს ქმარსა. უკეთუ მოკუდების ცოლი ჩემი, შევირთავ მე ცოლად მომკუდრისა მის ცოლისა ჩემისა ბიძის ცოლსა, კვლად შევირთავ ცოლისა ჩემისა ძმისა გერსა. მე მივეც და ჩემი გაცს ვისმე ცოლად, სიძისა მის ჩემისა ძმის ცოლი მერგების ცოლად. კვლად მივეც ასული ჩემი გაცს ვისმე ცოლად, და სიძემან ჩემმან ძმისათვის თვისსა ითხოვა ქალი: ოდესდა მოკუდეს სიძის ძმა ჩემი, არა მერგების მე სიძის ძმისა ჩემისა ცოლი, არამედ სიძის ძმისა ჩემისა ცოლისა და მომეტემის მე დაუბრკოლებლად.

ჯერას ჩს უკეთუ ორთა ძმათა ჭეჭანდეს ერთი ა ცოლის ძმა და მეორესა ცოლისა და მიეტემოდენ იგინი ერთი ერთსა ცოლ ქმარად, იტყუას პატრიარხისა დიონისისა და პატრიარხისა არსენისა განონი, რათა შეირთვიდენ ორნი ძმანი დაუბრკოლებლად სძალმულსა. ჭყავს ძმისა ჩემისა ასულსა ქარი: უკეთუ მოკუდეს ასული იგი ძმისა ჩემისა, ქმარი მისი და მე შევირთავთ ორთა დათა. ბრძანება პატრიარხისა მიხაილისა იტყუის. ასული ჩემი, პირველისა ცოლისაგან შობილი, და მეორისა ცოლისა ჩემისა ძმისა ასული შეირთვენ ორთა ძმათა: სიძე და ცოლის-ძმა შეირთვენ ორთა პირველთა ბიძა-შვიდთა.

( შემდეგი იქმნება )



## დარჩება მშობელთადმი შვილების აღზრდასად.

« მამანი ნუ განარისხებთ შვილთა თქუშნთა,  
« არამედ განზარდებით ივინი სწავლითა და  
« მოძღურობითა უფლისათა. ( ეფეს. 6, 4 )

ვინაჲღჳს ადამიანის სული ზრის უმთავრესი და უძვირესი კუთვნილება კაცისა, ამისთჳს ყოველი ყოველის ღონისძიებით, უნდა ცდილობდნენ მისი კეთილად დაცვისათჳს. კაცსა შეუძლიან დაცუა თავის სულისა არა სხუა რომელიმე სახით გარნა სწავლითა და მოძღურობითა უფლისათა. და ვინაჲღჳს კაცს ემაწვილობის დროს კერძალად სისუსტისაგან ხორციელთა და სულიერთა ძალთა მიღება ამ უმადლესისა სწავლისა და მოძღურობისა შეუწყენელად სხუთა გარეშე ჰიქთა, ამისათჳს მშობელთა, ვითარცა უმანლობელთა მათდამი ჰიქთა, აქუთ კალი რომ მათ უმეტეს ყოველთა იზრუნონ განათლებისათჳს მათის გულისა და გონებისა სწავლითა და მოძღურობითა უფლისათა. მაგრამ ვხედავთ აღსრულებასა მშობელთადმიერ ამ უმთავრესისა და დანუშორებელისა კაცისა შვილების აღზრდისათჳს? ჩუქნ არ შეკვიძლიან ამაზედ სრულებით უარის თქმა; მაგრამ არც შეკვიძლიან დატყუმატიტებით ვსთქვათ, რომ ყოველი მშობელნი ჯეროვნად ასრულებდნენ ამ ვალსა. ამ უკანასკნელს ჩუქნს ჳაზრსა ამტკიცებენ მრავალნი მაგალითნი მშობელთანი, რომელნი ნაცუელად სწავლისა და მოძღურობისა უფლისა „ასწავებენ მცნებასა და მოძღურობასა კაცთასა“ (მარკ. 7, 7), ესე იგი ასწავლიან მათ სამოქალაქო საგნებსა, სხუა და სხუა ენებსა, სხუა და სხუა ხელოვნებასა. თუმცა ყოველი ესე სახმარნი და სიჭიროანი ზრიან, მაგრამ შვილნი ამ გვართა მშობელთანი რიების ზოგჯერ ზნეობით აღუზრდელად და მოქმედებენ წინააღმდეგ სჯულისა ღმრთისა და სამოქალაქოდას; ამისათჳს მე საჭიროდ ვრაცხ მოკავონო მშობელთა სი-

ტუჩანი ჰყავს მოციქულისანი რომელი იტყვის: „მამანი ნუ გან-  
რისხებთ შვილთა თქუნიანთა, არამედ განზარდებით ივინი სწავლითა  
და მოძღვრებითა უფლისათა.“ რა სახით უნდა განზარდონ მშობელ-  
თა შვილნი თვისნი სწავლითა და მოძღვრებითა უფლისათა, და რა-  
სათვის უფრო იმა სწავლით, ამაზედ წარმოვსთქუათ რადენიმე სი-  
ტუჩა.

ა) რა სახით უნდა განზარდონ მშობელთა შვილნი თვისნი სწავ-  
ლითა და მოძღვრებითა უფლისათა?

წინათ დაბადებისა შვილთა მშობელნი ყოვლის ღონისძიების  
უნდა ცდილობდნენ, რომ ცხოვრება მათი-მშობელთა იყოს კეთილი  
და ღმრთის სასიამოვნო; განსაკუთრებით დედა თანამდებ არს, რათა  
მიიქცეს ხშირად ღოცვისადმი, ხშირად მიიღოს წმიდანი საიდუმლო-  
ნი: სინანული და ზიარება, რომ ამ სახით წმიდა ღმრთის ნაყოფი მუც-  
ლისა თვისისა. მშობელნი კეთილ ჩსახუნნი, თხიზუნნი და მლოცველ-  
ნი ყოველთვის და ყოველგან გარდასცემენ თვისთა შვილთა კეთილ-  
ზნობითსა ჩვეულებასა და ქაყასა. ხოლო მშობელნი ბოროტნი და  
უმეტესად გარყვნილნი ყოველ-თვის და ყოველგან იქმნებიან მიხეზად  
ცუდისა და გარყვნილის ცხოვრებისა შვილთა თვისთასა.

შემდეგ შობისა ემაწვილისა პირველი ვაჟი არის მშობელთა  
განსწმიდონ შვილი წმიდითა ნათლის-ღებითა; შემდეგ ნათლის-ღებისა  
უნდა ატარონ ხშირად ეკლესიაში და აზიარებანიან წმიდათა საიდუ-  
მოთა: შვიდის წლის შესრულების შემდეგ უნდა ასწავლონ კითხვა და  
წერა, და ღოცუა უფლისა სეზირად, ე. ი. „ამაო ჩვენო“; შემდეგ  
მწიამსა, ათნი მცნებანი, და სხვა მოკლე ღოცვები; და როცაესა გუ-  
ხსნება ემაწვილს გონება უნდაასწავლონ თავიანთი მაგალითით და  
დაწიგებით კეთილი ცხოვრება; უნდა აღოცონ დილით და საღამოთ,  
სადილისა და ვახშმის წინ და ავრეთვე შემდეგ, გათავებისა მათისა;  
უნდა შთაავსონ ვინ არს ღმერთი, იესო ქრისტე, და სული წმიდა;  
დასწავლონ მათს გულში შიში და სუუწარული ღმრთისა სწავლითა;

რომ ღმერთი ყოველგან არს, ყოველი იცის, ყველას ხედავს, ცუდი საქმისათვის სჯას კაცსა, ხოლო კეთილისათვის ავიდოდეს მას; უნდა ეუბნებოდნენ, რომ მათთანა იმყოფება ანგელოზი მოვარკელი, რომელსაც უხარის მათი კეთილი საქმისათვის და სწუხს ბოროტისათვის. გარდა ამისა მშობელთა უნდა ასწავლონ შვილებს ეკლესიაში სიარული გულისმოდგინებით, კეთილმოწიწებით და სიუკარულოთ; ასწავლონ მარხვის შეჩახვა, რომელსაც გვიბრძანებს წმიდა მართლ-მადიდებელი ეკლესია; უნდა განაშორებდნენ შვილთა ცუდთა მაგნებელთა საქმეთაგან; ამისთვის ყოველთვის უნდა უყურებდნენ მათს ყოფა-ქცევას, და მოსწევიტონ შენიშნულნი მათ შორის უმთავრესნი ბოროტნი: თავმოყვარეობა, ამპარტაუნობა, წინააღმდეგობა, სიზარმაცე, დაუდევრელობა ღოცვისა და კეთილი საქმისა, ცუდი ოცნა და სხუანი . . . აი უმთავრესნი სახენი, რომლითა შემწეობით მშობელთა შეუძლიანთ აღზრდა შვილებისა მწაკლითა და მოძღურობითა უფლისათა.

ბ) რადისათვის უნდა განზრდონ მშობელთა შვილი თვისნი სწავლითა და მოძღურობითა უფლისათა?

რადგანაც მიხედა ჩუქნის ქრისტეანიურის ცხოვრებისა მდგომარეობს მას შინა, რომ ამ სიტუაციაში ვაქათ და კადიდეთ ღმერთი, და შემდეგ სიგუდილისა მივიღეთ საუკუნო ნეტარება, და რადგანაც მიღება ამა ნეტარებისა არ შეიძლება თვნივრ აღსრულებისა მცნებათა ღუთისათა, რომელნიც შეიცვიან სწავლასა შინა უფლისასა, ამისათვის ცხადათ სჩანს, რომ ძობობისათვის საუკუნოდაც ცხოვრებისა სჭირდა არს, რათა უმეტესად შეიღთა მათთა გაიცნან და ისწავლონ მოძღურობა და ნება ღუთისა, და არა მარტო სამოქალაქო საგნები, რომელთა სწავლისაგან წარმოსდგების მარტო ქრისტეანიური კეთილ მდგომარეობა. რადისაგან იმყოფებთან აწ რომელნიმე კაცნი უხსენი და გარეუნილნი? არა რადისაგან თვნივრ ერთის მის მარხვისა, რომ იგინი სიერმიდგანეუ მშობელთა-მიერ არა არიან გაზრდილნი ვერლანის სახით, ე. ი. სწავლითა და მოძღურობითა უფლისათა. თუმცა

არაან ისეთი შემთხვევანი, რომ მშობელი ყოველის ღონისძიებით  
ზრდიან თავიანთ შვილებს მცნებითა უფლისათა, ხოლო ბოლოს შვილ-  
ნი მათნი ბოროტობენ და არღუევენ ესრეთსა მცნებასა მისსა,  
მაგრამ ღუთისა შეწევნით ესრეთნი შემთხვევანი არ არიან ხშირნი,  
და მშობელი მათნი არ მისცემენ ჰასუსსა ღმერთსა მათის ბორო-  
ტობისათჳს. შვილი უნდა გაზარდონ უმეტესად სწავლითა უფლი-  
სათა მისთჳს, რომ ამას ითხოვს თჳთ ბუნება ჩუენი, განახლებული  
და აღდგომილი ქრისტეს მიერ: „უკეთუ ქრისტესთანა აღსდგით,  
ზეცისასა ეძიებდით“ იტყუის ჰაკლე მოციქული, „ზეცისასა ზრახე-  
დით და ნუ ქუტუნისასა“. (კოლას. 3, 1, 2.) სწავლა უფლისა სა-  
ჭირო არს ემაწვილათაჳს, მისთჳს, რომ მით დამშვიდდების და და-  
ცხრების გონება, გული და სება მათი. როგორათაჳც საჭირო არს  
გამაგრება ახალდაზრგულის ნორჩისა სარითა, რომ არა შემუსროს  
ქარმან, ეგრეთვე მშობელი თანამდებ არიან, რომ განამაგრონ მცი-  
რქელკვანია შვილი თვისი სწავლითა უფლისათა, რათა არა მოიშ-  
თვნენ კნებითა და ცთუნებითა ამა სოფლისათა, და არ დაჩინენ უნა-  
ყოფოდ მსგავსად გამხმარის ხისა. ესრეთ მშობელთა უნდა იზრუნ-  
კონ, რათა შვილთა მათთა ისწავლონ ანუ მიიღონ სწავლა და მოძ-  
ღუტება ღუთისა. ესრეთი ზრუნვა მშობელთა უნდა ქონდეს შვილე-  
ბის გაზრდაზედ უმეტესად მისთვის, რომ ა) შვილი მათნი არიან-  
ერთ ხორც და ერთ სისხლ; ბ) შვილი მოცემულარაიან ღუთისაგან  
და არიან მისნა საყვარელი და საამონი; და ამისთჳს, უკეთუ მშობ-  
ელთა უყვარან ღმერთი, მათ არ ძალუძსთ, რომ არ შეიყვარონ ქმ-  
ნულნიცა მისნი და არ იზრუნკონ მათთჳს, რომელნი არიან ღუთი-  
საგან მიცემული და მინდობილი მათთჳს გასაზრდელად და სასწ-  
ვლებლად ღუთის ჰატვიისა-ცერისა; გ) ზრუნვასა შვილების კეთილ-  
გაზრდაზედ ითხოვენ: ა) კეთილ-მდგომარეობა საზოგადოებისა, რომ-  
ელიც წარმოსდგების ჰეროკანის აღზრდისაგან შვილთა; უკეთუ შვილ-  
ნი არ არიან კეთილად გაზრდილი, მაშინ საზოგადოება მიიღებს  
სხუა და სხუა უსიამოვნებას და უჩიგოებას; ბ) კეთილ-მდგომარეობა

თვით მშობელთა, რადგანაც კეთილმსახურნი შვილნი მუდამ ასიამოვნებენ და ახარებენ მშობელთა; აძლევენ ნუგეშსა და შემწეობასა მოხუცებულთაში. და გ) სასჯელი ღმრთისა; უზრუნველნი შვილების კეთილად აღზრდისათვის მშობელნი მიეცემიან საშინელსა ზასუხიანებასა და სასჯელსა ღმრთისასა, რომლის მაგალითს ვხედავთ ძველს აღთქმაში, მღუდელმთავარს ილიზედ, (1. მეფ. 4.), რომელიც ანათუ მარტო თვით მოკრულს საშინელს და უცარის სიკრულით, არამედ მოჭსწედნენ შვილნიცა მისნი, და სრულიად შთამამაკლობა მისი მოაკლდა ღირსებასა მღუდლობისა და მღუდელთ-მთავრობისასა. — ვეცადოთ ჩუქნც, კეთილ მსახურნო მკითხველნო, რათა ვასწავლიდეთ შვილთა ჩუქნთა არა მხოლოდ სამოქალაქო საგნებსა, არამედ უპირველეს ყოვლისა შევამკობდეთ მათ ღმრთივ-სულიერითა სწავლითა და მოძღვრებითა უფლისათა.

გრიგ. ზედგინიძე.

---

## ნ ე კ რ ი ლ ო კ ი .

«ვინ სოფელი, რა შიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა,  
სად წაიყვან საღაურსა, სად აღუფხვრი საით ძირსა.»

ივლისის 21 ს 1868 წელს დილით აი საათზე მე და მრე  
სხუა ქართველი ერთ ადგილას მივეშურებოდით ჩუქნი შინაური სქ-  
მისათვის; ჩუქნი ბატონი-შვილების სახლების ახლო უნდა გაგვეკლო  
(\*). წინათვე. მინამ მოკატანდით ამ სახლებსა, დავინახეთ ამას წან  
ჯგუფ-ჯგუფად მდგომარე ხალხი, ცნობის მოყვარეობამ მიგვიხიდა ბ  
ფეხი აგვაჩქარებინა. წამდენათაც ვუახლოვდებოდით ამ ჯგუფ-ჯგუფა  
ხალხს, ეკიზაყების გროვას, იმდენათ, უფრო ვრწმუნდებოდით რომ  
იქ ელოდნენ მიცვალებულის განოსვენებას. ამაში უფრო იმან, დაგვა-  
რწმუნა რომ ხალხსა და ეკიზაყებს შორის შეკნიშნეთ ბაღდახინი,  
ცხენები და კატები შავათ შემოსილები. გულმა ძეგრა დაგვიწყო და  
დაუწყეთ კითხვა ერთი ერთმანერთს: ვინ უნდა ვაწდაცვალებულ იყოს  
ამ ბატონი-შვილების სახლებში? თვითოეული ჩუქნგანნი თავისებურად  
ხსნიდა ამ კითხვას; მაგრამ რადგანაც ვიცოდით ავთ-მოყოფობა ერთი  
ჩუქნი ქუჭუნის კაცისა; ამისათვის ხშირ-ხშირად მოგუდიოდა თავში:  
ხომ არათუ ვიქნებოდა ჩუქნი თანამემამულეს? ბოლოს მივედით და  
შევერიენით ხალხში. ჩუქნი მისულა იყო და მიცვალებულის განოსვენ-  
ებაც ბატონი-შვილების კაწის ეკვლესიადგან. მკითხველო! როგორც  
მაშინ ჩუქნი გვიძგერდა გული, ისე შენ დაგიწყობს ესა ძეგრას მი-  
ნამ შეიტყობ ამ მიცვალებულის ვინაობას. ეს მიცვალებული იყო  
ჩუქნი ქუჭუნის კაცი მ. დეკანოზი მიხეილ გურგენიძე, რომელიც  
ეკელა ემწილი კაცის, მოსკოვში გამოზდილის ქართულის გონე-  
ბაშია ჩაბეჭდილი. მაშინ დაგცემს თავ ზარს ჩუქნსავით ამ ქართულ-  
ლის სიკუდილი, როდესაც შეიტყობ, თუ რა კაცი იყო ეს ცხონე-

---

(\*) მოსკოვში პატარა ტყაჭრის ახლო ცხოვრობენ მეფის გიორგის  
მეათეცამეტის შვილის-შვილები.

ბული. ჯერეთ მინამ ავიწერ, ჩემო შვითხეკლო, ამ განსკენებულ ს  
კაცურ მოქმედებებს, მე საჭიროთ ვრაცხ მოკლეო შეკატუობინა,  
ამის ვინაობა.

განსკენებული დაიბადა 1822 წ. 30 ოქტომბერს; მიიღო სწავ-  
ლა ტფილისის სემინარიაში. აქ პირველ მოწაგუო შესრულა გერ-  
სი 1843 წ. 17 ოქტომბერს. შემდეგ გერსის შესრულებისა ამავე  
წელში ეგერთხა მღჳდლათ ტფილისში. ამის პატრონობა და სიმარ-  
თლის მოყვარეობა არა დარჩა შეუნიშნავი მთავროვისაგან, რომელ-  
მაც დანიშნა ბლადოჩინის თანა შემწეო ქალაქშივე; არი წლის მღჳ-  
დელი არ ყოფილა განსკენებული, რომ მეუღლე გარდაეცვალა, და  
დარჩა ერთი ასული. ამ ხანებში ეკლესიური წიგნები იბეჭდებოდა  
მოსკოვის ქალაქში ქართულ ენაზედ; ამისათვის აქ საჭიროებდნენ  
ქართული ენის მცოდნეს, რომელსაც გვარიანად ავსრულებინა კორ-  
რექტორის თანამდებობა. აი ეს იყო მიხეილი, რომ განსკენებული მ.  
დეკანოზი მიხეილი გურგენიძე 1848 წ. მანდაური მთავრობის გან-  
კარგულებით მოვიდა მოსკოვში. ამ დროს ისევე ცოცხალი იყო ჩუჭ-  
ნი დედოფალი მარიაში, მეფე გიორგი მკათ-ცამეტის მეორე მეუღ-  
ლე. ამან თავის სკატაში მიიღო 1850 წ —ს; დიდხანი არ გამოსუ-  
ლა შემდეგ ამისა, რომ დედოფალი გარდაეცვალა და ეველას ამის სკი-  
ტაში მეფოს მისცეს ჰენცია; სხუათა შორის განსკენებულ დეკანოზ-  
საც მისცეს რამდენ თუმხამდინ წელიწადში. 1850-ს წელშივე მის-  
ცეს ქართული ენის მასწავლებლობა აღმოსავლეთის ეხების ლაზარე-  
